

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“

საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2010 წლის 23 თებერვალს, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან. თუმცა, დასახელებული კანონის გარკვეული დებულებები, თავისი შინაარსიდან გამომდინარე მოითხოვს დაზუსტებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია დაზუსტდეს იმ დებულებების შინაარსი, რომელიც გარკვეულწილად ბუნდოვანია და რომელმაც მომავალში შესაძლებელია გარკვეული გაუგებრობები გამოიწვიოს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტით ხდება 240-ე და 250-ე მუხლებით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევისა და მისი ჩამდენი პირის დაზუსტება. კერძოდ, საბაჟო სამართალდარღვევას წარმოადგენს საბაჟო დეკლარაციასა და თანმხლებ დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემის არსებობისას, საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირება დეკლარანტის/წარმომადგენლის მიერ. ასევე, საბაჟო დეკლარაციასა და თანმხლებ დოკუმენტაციაში საბაჟო ღირებულების თაობაზე არასწორი მონაცემის არსებობისას, საბაჟო ღირებულების შემცირება ან გაზრდა დეკლარანტის/წარმომადგენლის მიერ, რასაც არ გამოუწვევია საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი მონაცემის არსებობა სავალდებულო არ არის.

გარდა აღნიშნულისა, იურიდიული ტექნიკი თვალსაზრისით, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მის ამოქმედებას 2010

წლის 2 აპრილიდან, გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადი კანონი ამოქმედდება 2010 წლის 31 მარტიდან.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებისათვის ფისკალურად ნეიტრალურია.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშევა სახელწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

**ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ ზეგავლენას პირებზე, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საქართველოს ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორია:**

პარლამენტის წევრი მიხეილ ცქიტიშვილი

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორია:**

პარლამენტის წევრი მიხეილ ცქიტიშვილი